



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 54
27/10/2017

54-04-4-201710271502



ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი დასახლების „გიორგოული“-ს შექმნის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მოსიაშვილებში მცხოვრები მოქალაქეების წინადადების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N307 დადგენილების მე-4 და მე-6 მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მოწონებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მოსიაშვილებში მცხოვრები მოქალაქეების წინადადება ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი დასახლების „გიორგოული“-ს შექმნის შესახებ.
2. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების „გიორგოული“-ს შექმნის შესახებ საკითხზე ზედამხედველობა.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე